



კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის ბიზნესის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე
MSc Program in Management

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური
მაგისტრატურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი
უმაღლესი

სწავლების ენა
ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ქართულად: მაგისტრი მენეჯმენტში 0203
ინლისურად: Master in Management 0203

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, დოქტორი პაატა ბრეკაშვილი.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში მოიცავს 120 ECTS კრედიტს. პროგრამის გავლის ოპტიმალური ვადა შეადგენს 2 წელს. სასწავლო წელი დაგეგმილია 51 კვირაზე და აგებულია ტრიმესტრული პრინციპით. იგი მოიცავს სამ ტრიმესტრს. თითოეული ტრიმესტრი კი მოიცავს 17 სასწავლო კვირას.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც მაგისტრანტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი, კვლევითი პრაქტიკა და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს.

მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში მოიცავს სავალდებულო და არჩევით სასწავლო 90 ECTS და კვლევით 30 ECTS კომპონენტებს. 85 ECTS კრედიტი არის სავალდებულო, ხოლო 5 კრედიტი არის არჩევითი, რაც სტუდენტს აძლევს საშუალებას წარმოდგენილი 3 არჩევითი საგნიდან აირჩიოს ერთი. I-V ტრიმესტრების განმავლობაში სტუდენტი გადის სავალდებულო და არჩევით საგნებს. IV ტრიმესტრში სტუდენტს აქვს საშუალება აირჩიოს 3 წარმოდგენილი საგნიდან ერთ-ერთი. V ტრიმესტრში სტუდენტი აკეთებს სამაგისტრო ნაშრომის განაცხადს. VI ტრიმესტრში სტუდენტი ასრულებს სამაგისტრო ნაშრომს რომელიც მთავრდება დაცვით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი
- ერთიანი სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება
- კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო მიმღები გამოცდის წარმატებით გავლა
- კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო მიმღებ კომისიასთან გასაუბრების წარმატებით გავლა
- ნიშნების ფურცელი
- 2 სარეკომენდაციო წერილი
- CV/რეზიუმე
- 1 ცალი პასპორტის ფოტოსურათი
- პირადობის მოწმობის ასლი
- სამხედრო მიწერის მოწმობის ასლი (მამაკაცებისთვის)
- სამოტივაციო წერილი
- საზღვარგარეთის მოქალაქეების მიღება მოხდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად

პროგრამის მიზანი

პროგრამა შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის ბიზნესის სკოლის მისიაში ასახულ ხედვებს და უზრუნველყოფს კვლევებზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების მიმდევარი სპეციალისტების მომზადებას და ამ სფეროში საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

პროგრამა შედგენილია საქართველოს კერძო და სახელმწიფო სექტორის, ასევე პროფესიული ასოციაციების მიერ დანახული ბაზარზე არსებული საჭიროებების და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის მენეჯმენტში მიზანია სტუდენტებს შესძინოს დარგის თეორიული

	<p>ცოდნა და შესაწავლოს თეორიის პრაქტიკაში გამოყენების გზები და ამით მოამზადოს კონკურენტუნარიანი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. თანამედროვე კონკურენციისა და ბიზნესის გლობალიზაციის პირობებში, რამდენადაც ნებისმიერი სფეროს წარმატება დამოკიდებულია მმართველთა პროფესიულ მომზადებასა და შესაბამისი მმართველობითი უნარ-ჩვევებისა და სოციალურ-ეკონომიკური ფასეულობების ადეკვატურ ცოდნაზე, პროგრამა მიზნად ისახავს ისეთი მენეჯერების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ მეცნიერული ცოდნის წარმატებულ გამოყენებას.</p> <p>პროგრამაში ძირითადი აქცენტები გაკეთებულია ორგანიზაციისა და მისი სხვადასხვა ფუნქციური რგოლების მართვის კონცეფციების გააზრება-შესწავლაზე და ამავდროულად, მათ პრაქტიკაში გამოყენებაზე, ისე რომ დაცული იყოს სოციალური პასუხისმგებლობის საკითხები. პროგრამის მიზანია მოამზადოს მენეჯმენტის სპეციალისტები რომლებსაც ნათლად ექნებათ გაცნობიერებული ინდივიდის როლი მენეჯერულ საქმიანობაში როგორც ერთიანი გუნდის წევრის, ასევე პირადი შესაძლებლობებისა და პასუხისმგებლობების კუთხით. ამასთან, პროგრამა ყურადღებას ამახვილებს როგორც ზოგადი მართვის, ასევე ორგანიზაციაში ფუნქციური არეებისა და სისტემების წარმატებულ გაძღოლაზე.</p>
<p>პროგრამის სწავლის შედეგი</p>	<p>თანამედროვე გარემოში ბიზნესში არსებულ გამოწვევებზე სრულფასოვანი კონტროლის დამყარების მიზნით, სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული მიიღებს უმაღლესი დონის პროფესიულ განათლებას, რომელიც მკაფიოდ იქნება ორიენტირებული მართვის ხელოვნების გამოყენებაზე. პროგრამით მიღებული განათლება წარმოადგენს წარმატების საფუძველს შემდგომი პროფესიული განვითარების გზაზე და აძლევს კურსდამთავრებულს ფართო შესაძლებლობებს მოახდინოს მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზი.</p> <p>სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება ქვემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციები და მათთან თანხვედრილი დარგობრივი და ზოგადი უნარ-ჩვევები:</p> <p>1. ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>მოცემულ აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შედეგად სტუდენტს ექნება სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ორგანიზაციის სტრატეგიული დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღებაში 2. ადამიანური რესურსების მართვისა და წარმატებულ ლიდერობაში 3. ორგანიზაციის სხვადასხვა ფუნქციური არის დაგეგმვა-მართვაში 4. პროექტების დაგეგმვა-მართვაში 5. ხარისხის მართვაში 6. ინოვაციური პროექტებისა და ბიზნეს წამოწყებების დაგეგმვა-მართვაში 7. კვლევის მეთოდებსა და მიდგომებში <p>2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დამოუკიდებლად მუშაობისა და, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი; 2. ცვალებად და მრავალფეროვან ბიზნესგარემოში კომპლექსური პრობლემების გადაჭრის უნარი; 3. ბიზნეს ორგანიზაციაში მრავალფეროვან ჯგუფთან მუშაობის უნარი 4. ხელმძღვანელობის უნარი

	<ol style="list-style-type: none"> 5. ორგანიზაციული რესურსების ეფექტურად გამოყენების უნარი 6. ბიზნესის პროექტირების და მისი ეფექტურად გაძღოლა-კონტროლის უნარი 7. ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზე მმართველ პოზიციებზე მუშაობის და კადრებთან მუშაობის უნარი 8. ცვლილებების განხორციელების უნარი 9. ფართო სპექტრის ბიზნეს კვლევების წარმოების უნარი <p>3. დასკვნის გაკეთების უნარი</p> <ol style="list-style-type: none"> 1. რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის შედეგად დასაბუთებული დასკვნების გაკეთების უნარი; 2. რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ახალი იდეების ჩამოყალიბების, ინოვაციურობისა და კრეატიულობის უნარი; 3. კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი 4. სისტემური აზროვნების უნარები <p>4. კომუნიკაციის უნარი</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ქართულ ენაზე აკადემიურ საზოგადოებასთან დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდებისა თუ შედეგების კომუნიკაცია; 2. ქართულ ენაზე პროფესიულ საზოგადოებასთან დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის შედეგების კომუნიკაცია; 3. ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის შედეგების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან 4. ინტერდისციპლინარულ ჯგუფში და არასპეციალისტებთან მუშაობისა და დასკვნების, არგუმენტაციისა და შედეგების კომუნიკაციის უნარი <p>5. სწავლის უნარი</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი 2. სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერების, განსაზღვრისა და შესაბამისად, მოქმედების უნარი 3. სწავლის პროცესის სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი <p>6. ღირებულებები</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ქართული და საერთაშორისო საზოგადოებისათვის და ბიზნეს-მართვისათვის მიღებული ღირებულებებისა და ფასეულობებისადმი დამოკიდებულების შეფასების, შესაბამისად მოქმედებისა და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი 2. ბიზნესის ეთიკურად მართვის მიდგომების შეფასებისა და შესაბამისად, მოქმედების უნარი
<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის მენეჯმენტში კურსდამთავრებულმა შეიძლება დაიკავოს საშუალო რგოლის მენეჯერის პოზიციები, როგორც კერძო, ისე საჯარო და არასახელმწიფო ორგანიზაციებში.</p> <p>კურსდამთავრებულებმა შეიძლება დაიკავონ შემდეგი პოზიციები:</p>

- კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი
- ანალიტიკური სამსახურის მენეჯერი
- ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი
- წარმოების და ოპერაციათა მართვის მენეჯერი
- პროექტის მენეჯერი

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

კავკასიის ბიზნესის სკოლის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამით მენეჯმენტში შემოთავაზებულ სასწავლო კურსების დაუფლება სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

განვლილი სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება შეფასებული იქნება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
- ყოველკვირეულ შეფასებას (ტესტი, სიტუაციის ანალიზი, ბიზნეს-ქეისის ანალიზი, გარკვეული სახის პრეზენტაცია და ა.შ.);
- შუა სემესტრულ შეფასებას;
- საბოლოო გამოცდის შეფასებას.

სტუდენტის ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერიტი (ტესტი, სიტუაციის ანალიზი, ღია კითხვები, ესსე და ა.შ) გამოკითხვა, ჯგუფური/ინდივიდუალური დავალების მომზადება და მისი პრეზენტაცია. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში.

შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილდება შემდეგი სქემის მიხედვით:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100%
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81% – 90%.
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71% – 80 %.
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61% – 70%.
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51% – 60%.

თუ სტუდენტმა ვერ დააგროვა დადებითი შეფასებისთვის საკმარისი ქულათა ჯამი, მაგრამ მის მიერ მოპოვებული ქულები შეადგენს ან აღემატება მაქსიმალური შეფასების 41%-ს, მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები შეფასების მიღება ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერიტი მუშაობის მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) მეთოდი, სწავლების დედუქციური მეთოდი,

ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

პროგრამის სასწავლო კურსები

სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის აღწერა	სავალდებულო/არჩევითი	ECTS კრედიტი	სწავლების ტრიმესტრი
სტატისტიკური ანალიზი მენეჯერთათვის	<p>სტატისტიკური ანალიზის კურსი მოიცავს საფუძვლიან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეგროვდეს სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები, როგორ უნდა მოხდეს მათი პირველადი დამუშავება და ინტერპრეტაცია. აგრეთვე, ანალიზი და ამ ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p> <p>კურსის შინაარსი მოიცავს კლასიკურ სტატისტიკურ მეთოდებს: სტატისტიკის ძირითადი ცნებები, მონაცემთა შეგროვება, მონაცემთა წარმოდგენა ცხრილების და გრაფიკების სახით, ხდომილებები და ალბათობის თეორიის საფუძვლები, ალბათური განაწილებები, დისკრეტული და უწყვეტი შემთხვევითი სიდიდეები, ამორჩევები და ამორჩევათა განაწილებები, ამორჩევის საშუალოსა და პროპორციის განაწილებები, პარამეტრების შეფასებები, დასაშვები და სანდოობის ინტერვალების აგება, ჰიპოთეზების შემუშავება და შემოწმება.</p>	სავალდებულო	5	I
ორგანიზაციული ქცევა	<p>საგანი სწავლობს ადამიანური ქცევის კომპლექსურობას ორგანიზაციულ გარემოში და მენეჯერებისა და ლიდერების როლს ამ გარემოზე ზეგავლენის კუთხით. საგანი შეისწავლის ორგანიზაციული ქცევისა და შედეგიანობის მართვის ისეთ ფართო თემებს როგორცაა: ინდივიდის თვით-გამოკვლევა და მართვა, მოტივაცია. ლიდერობა, გუნდისა და ჯგუფის დინამიკა, უფლებამოსილება და ზეგავლენა, ორგანიზაციული ცვლილება და სხვა. ყოველი მოცემული თემის კუთხით განხილული იქნება სპეციფიური თეორიები და მოდელები, რომლებიც განსაზღვრავენ ქცევას ორგანიზაციაში. ასევე განხილული იქნება ქცევათა მრავალფეროვნება ორგანიზაციებში.</p>	სავალდებულო	5	I
მარკეტინგის მენეჯმენტი	კურსი ორიენტირებულია მარკეტინგული მართვის პოლიტიკისა და	სავალდებულო	5	I

	სტრატეგიის ფორმულირებაზე და მის განხორციელებაზე. ეს არის ის აქტივობა, რომელიც სრულდება უმეტეს კომპანიებსა და სტრატეგიულ ბიზნეს ერთეულებში. მარკეტინგული მართვის პროცესი მნიშვნელოვანია ორგანიზაციის ყველა დონეზე. ეს კურსი აცნობს ინდივიდს სისტემატურ მოდელს, რომლის საშუალებითაც იგი შეძლებს გაიგოს თუ რა არის და როგორ უნდა მოხდეს მარკეტინგი ორგანიზაციაში.			
ფინანსური ხარჯების აღრიცხვა	აღნიშნული კურსი შეისწავლის ფინანსურ აღრიცხვისა და ანგარიშგების კონცეფციებს. იგი უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების, საბუღალტრო გატარებების, ბალანსის, მოგება-ზარალის, ფინანსური უწყისების ახსნა - განმარტებების, შემოსავლების, დებიტორული დავალიანების, ფულადი სახსრების, თვითღირებულების აღრიცხვის და სხვადასხვა კოეფიციენტების შესწავლას. იგი ასევე უზრუნველყოფს ისეთი საკითხების შესწავლას რომელიც ეხმარე ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაში.	სავალდებულო	5	I
მენეჯერული ხარჯების აღრიცხვა	მენეჯერული აღრიცხვა არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც აძლიერებს კომპანიის შესაძლებლობებს, რათა სწორი და ფინანსურად გამართლებული გადაწყვეტილებები იქნას მიღებული. ეს კურსი მიმოიხილავს მეთოდებს, რომელიც ზომავს და აანალიზებს ხარჯებს, პროდუქტების მომგებიანობას და სხვა ისეთ საკითხებს, რომელიც ხელს უწყობს კომპანიის მომგებიანობის გაზრდას. მენეჯერული აღრიცხვის მთავარი მიზანი არის მიაწოდოს სასარგებლო ფინანსური ინფორმაცია შიდა მომხმარებლებს, რომ გააუმჯობესონ მენეჯერული გადაწყვეტილების მიღების პროცესი და მისი კონტროლი.	სავალდებულო	5	II
კვლევის მეთოდოლოგია I	კურსი დაეხმარება მსმენელს მიიღოს გამოცდილება და ცოდნა, ბიზნეს-სიტუაციების კვლევის მეთოდებზე, შეასრულოს მონაცემთა ანალიზი და მიღებული შედეგი აქციოს ოპტიმალურ გადაწყვეტილებად თუ შემაფასებელ წინადადებად. კურსი ორიენტირებულია პრაქტიკულ შედეგზე და მოიცავს შემდეგ თემებს: <ul style="list-style-type: none"> • ოპტიმალური არჩევანის შესრულება შეზღუდული რესურსების პირობებში; 	სავალდებულო	5	II

	<ul style="list-style-type: none"> • გრაფიკების, ჰისტოგრამებისა და სხვა ფუნქციონალური ფორმების შექმნა; • მოთხოვნა-მიწოდებისა თუ სხვადასხვა ტიპის დანახარჯების მინიმიზაციისა ან მოგების მაქსიმიზაციისათვის ოპტიმიზაციის ამოცანების დასმა-გადაწყვეტა; • ოპტიმალური არჩევანის შესრულება ფინანსური პორტფოლიოს მართვაში; • გადაწყვეტილების ხეების აგება; • აპროქსიმაციები უმცირეს კვადრატთა, პოლინომიური და ექსპონენციალური მეთოდებით; • პროგნოზირება, ჰიპოტეზების ტესტირება და სტატისტიკური ანალიზის შედეგად დასკვნების გაკეთება; • ბიზნეს მოდელირება სიმულაციის, სცენარებისა თუ მონტე კარლოს მეთოდების გამოყენებით; მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის შესრულებისათვის მსმენელი გამოიყენებს EXCEL-სა და სტატისტიკური პროგრამული პაკეტი – SPSS –ის საშუალებებს. 			
<p>კვლევის მეთოდოლოგია II</p>	<p>კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებში მონაცემთა ანალიზის ტექნიკის ცოდნის გაღრმავებას. კურსის მთავარი მიზანია სტუდენტებს მისცეს ემპირიული მკვლევარების მიერ გამოყენებული რაოდენობრივი მეთოდების პრაქტიკა, გააცნოს სტატისტიკური მონაცემები, რომელიც გამოიყენება როგორც სამეცნიერო, ასევე პოლიტიკურ საზოგადოებებში. კურსში განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა: ემპირიული კვლევითი ნაშრომის წაკითხვა და გააზრება სხვადასხვა ხერხების გამოყენებით, რომელიც პრობლემების გადაჭრის გზების ინფორმირებას უწყობს ხელს (ლიტერატურისა და სტატისტიკური მონაცემების თვალსაზრისით). კურსის განმავლობაში სტუდენტები გაეცნობიან მონაცემების წყაროებს, სტატისტიკურ ინფორმაციებს და ინფორმაციის გადამუშავების გზებს.</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>5</p>	<p>II</p>

პროექტების მართვა	ეს კურსი შეისწავლის პროექტის მენეჯმენტის ფუნქციებსა და გარემოებებს, პროექტის სასიცოცხლო ციკლსა და სამუშაოს დაგეგმვის სხვადასხვა ხერხებს, პროექტის მიზნის მისაღწევად კონტროლსა და შეფასებებს. კურსი განსაზღვრავს პროექტის დამახასიათებელ თვისებებს, აყალიბებს პროექტის მენეჯმენტის საჭიროებას, ადარებს და აპირისპირებს პროექტის მენეჯერის ფუნქციას ორგანიზაციულ გარემოებებში. კურსი აგრეთვე მოიცავს პროექტის ორგანიზაციულ სტრუქტურას, თუ როგორ არიან ჯგუფები ორგანიზებული პროექტებში და როგორ არის გადანაწილებული პროექტში გუნდის წევრების ფუნქცია და პასუხისმგებლობა.		5	II
მეწარმეობა და საწარმო	მოცემული კურსი უზრუნველყოფს სტუდენტებს შეისწავლონ პრაქტიკული ბიზნეს ხერხები იმისა, თუ როგორ შექმნან ახალი ბიზნესები ან განავითარონ უკვე არსებული. ხაზი გაესმება მეწარმეობის იმ ძირითად ასპექტებს, როგორებიცაა: მეწარმეობის დამახასიათებელი თვისებები, შესაძლებლობების იდენტიფიცირება და შეფასება, ბიზნესის გეგმის დაწერა და ბიზნეს მოდელის განვითარება, მეწარმეობის მარკეტინგი, რისკების დაფინანსება, კაპიტალის ზრდა და წარმატებული გუნდის ჩამოყალიბება.	სავალდებულო	5	III
აკადემიური წერა	წერის უნარი მნიშვნელოვანია სტუდენტისთვის, რათა მან წარმატებით გაიაროს სამაგისტრო პროგრამა, ხოლო შემდგომ შეიქმნას წარმატებული კარიერა ნებისმიერ ბიზნეს-გარემოში. აღნიშნული კურსი ეხმარება სტუდენტს განივითაროს მოხსენებების, ანგარიშების, თეზისების, სტატიების და ა.შ. წერის უნარი. საგნის ძირითადი აქცენტი გადატანილია სტუდენტისათვის სამაგისტრო თეზისის მოსამზადებლად საჭირო ტექნიკური დეტალების გააზრებასა და ნაშრომის მოსამზადებლად მის გამოყენებაზე ისე, რომ გამოყენებული იქნეს საერთაშორისო გამოცდილება და მისი შესაბამისი პრაქტიკა.	სავალდებულო	5	III
სისტემებისა და ოპერაციების მართვა	ამ კურსის მთავარი მიზანია სტუდენტებს მისცეს ცალკეული სისტემებისა და ოპერაციების მენეჯმენტის კონცეფციების უფრო ფართო და ნათელი წარმოდგენა. ეს კონცეფციები მოიცავს ოპერაციების	სავალდებულო	5	III

	სტრატეგიას, პროცესის მონახაზს, პროგნოზირებას, ინვენტარის მართვას, დაგეგმვას და ხარისხის მენეჯმენტს. კურსი შეისწავლის ოპერაციების დინამიკის სტრატეგიას, პროცესის გაუმჯობესებისა და მოდერნიზაციის კონცეფციებს, სხვადასხვა წარმოების ტექნოლოგიებს და მათ მიზნებს, ხარისხის მენეჯმენტის მნიშვნელობასა და სტატისტიკური პროცესების კონტროლის მექანიზმებს, გრძელვადიანი ტექნიკის გამოყენების მრავალფეროვნებას.			
მოლაპარაკების წარმოების მეთოდები	სასწავლო კურსი მიზნად ისახავს დაეხმაროს სტუდენტს მოლაპარაკების წარმოებისათვის აუცილებელი სტრატეგიული და ტექტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. საგანი ძირითადად ორიენტირებულია მოლაპარაკების დაგეგმვის, გაძლიერების, ინტერესთა მართვის, ღირებულების შექმნისა და დანაწილების მეთოდებზე. სასწავლო კურსი მოიცავს მოლაპარაკების წარმოების ზოგად მედოლებს და გამიზნულია სტუდენტთა ფართო წრეთათვის. საგანი აცნობს სტუდენტებს როგორც სფეროში არსებულ ძირითად მიღწევებს, ასევე იმ პრაქტიკულ ჩვევებს რითაც შეძლებს სტუდენტი მომავალში წარატებული მომლაპარაკებლის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.	სავალდებულო	5	III
ადამიანური რესურსების მართვა	ეკონომიკა უფრო მეტად ორიენტირებული გახდა ცოდნაზე, რომელსაც ეფუძნება სამუშაო ადგილები, კონკურენტუნარიან გარემოში ორგანიზაციებმა უფრო მეტად აღიარეს კადრების მთავარი უპირატესობა, სწორედ ამან გამოიწვია ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სტრატეგიული მნიშვნელობის აღიარება. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი წარმოადგენს წარმატებული ორგანიზაციების უმთავრეს სტრატეგიულ ფუნქციას. კურსი აღიარებს ისეთ დინამიურ ურთიერთობებს, როგორცაა სტრატეგია, ადამიანები, ტექნოლოგია და პროცესები, რომლებიც ორგანიზაციის მუშაობას უწყობს ხელს. კურსის განხილვის თემატიკაა: დასაქმების სამართალი, შტატის დაკომპლექტება, ანაზღაურება, ადამიანური რესურსების განვითარება, შესრულების მენეჯმენტი. ასევე კურსი მოიცავს სფეროს ისტორიულ შეფასებას და ფილოსოფიურ საფუძვლებს, შეისწავლის მიმდინარე	სავალდებულო	5	IV

	პრაქტიკებს, რომლებიც გამოიყენება ადამიანური რესურსების მართვის სფეროში.			
სტრატეგიული მართვა	ამ კურსის ძირითადი მიზანი არის ის, რომ ორგანიზაცია უნდა იყოს გრძელვადიანი და მოგებაზე ორიენტირებული. აქედან გამომდინარე, კურსი ძირითადად ფოკუსირებას მოახდენს სტრატეგიის იმპლემენტაციასა და ფორმულირებაზე, რომელიც მოგვცემს შემოსავლიანობის უმაღლეს დონეს გრძელვადიანი პერსპექტივით. სტრატეგიული მენეჯმენტი უნდა პასუხობდეს ორ შეკითხვას: 1. რომელი სახის ბიზნესში ან ბიზნესებში უნდა ჩავერთოთ? და 2. როგორ შეიძლება გავწიოთ კონკურენცია ცალკეული ბიზნესის ფარგლებში? ამ კითხვებზე პასუხი განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიის ორ მთავარ სფეროს: კორპორაციულ სტრატეგიას და ბიზნეს სტრატეგიას. იქიდან გამომდინარე, რომ თანამედროვე ბიზნეს გარემოს გავრცელებული მახასიათებელია კონკურენცია, ეს კურსი უფრო მეტად დაკავშირებული იქნება ბიზნეს სტრატეგიასთან, იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ შეუძლია კომპანიამ ცალკეული ინდუსტრიის გარშემო დაიმკვიდროს მდგრადი კონკურენტუნარიანი ადგილი მეტოქეებს შორის.	სავალდებულო	5	IV
საგადასახადო საქმე	საგანი შეისწავლის შემდეგ საკითხებს: გადასახადის ცნება, ნიშნები, სტრუქტურა კლასიფიკაცია; საგადასახადო სამართალი და საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობები; საგადასახადო სისტემა; საგადასახადო სამართლის წყაროები; საგადასახადო კანონმდებლობა; საერთაშორისო საგადასახადო ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლები; საგადასახადო სამართლის სუბიექტები; საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი; მოგების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი. დამატებითი ღირებულების გადასახადი გამოანგარიშებისა და გადახდის წესი; აქციზის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი; იმპორტის გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი; ადგილობრივი გადასახადები; ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადასახდის წესი.	სავალდებულო	5	V

<p>კონკურენტუნარიანობის მიკროეკონომიკა</p>	<p>ეს კურსი მოიცავს სახელმწიფოებრივი და რეგიონალური კონკურენტუნარიანობის გადამწყვეტ ფაქტორებს, რომელიც გამოწვეულია ფირმების პერსპექტივით, შტატების ერთეულებით, კლასტერებით, ერებით, და მოსაზღვრე ქვეყნების ჯგუფებით. ფირმების პროდუქტიულობა და ფალსიფიკაცია, კლასტერების სიცოცხლისუნარიანობა და ბიზნეს გარემოს ხარისხი, რომელშიც მიმდინარეობს შეჯიბრი არის ერის ან რეგიონის პროდუქტიულობის საბოლოო განმსაზღვრელი ფაქტორი. კონკურენტუნარიანობის მიკროეკონომიკა ფოკუსირებას ახდენს ეროვნული და რეგიონალური პროდუქტიულობის წყაროებზე, რომელიც დამკვიდრებულია ადგილობრივი ფირმების სტრატეგიებსა და მოქმედ პრაქტიკებზე დაყრდნობით. კურსი შეისწავლის მოწინავე და განვითარების საფეხურზე არსებულ ქვეყნების ეკონომიკას და უკავშირებს კონკურენტუნარიანობას სხვადასხვა საფეხურებს – სახელმწიფოებს, სახელმწიფოებრივ ერთეულებს და მეზობელ ქვეყნებს. კურსი დაკავშირებულია არა მარტო მთავრობის პოლიტიკაზე არამედ აგრეთვე ფირმების ფუნქციებთან, სამრეწველო ასოციაციებთან, უნივერსიტეტებთან და სხვა ინსტიტუციებთან, რომლებიც ერთვებიან კონკურენტუნარიანობის პროცესში.</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>5</p>	<p>IV</p>
<p>ლოჯისტიკა</p>	<p>ეს კურსი მიზნად ისახავს სტუდენტს გადასცეს ლოჯისტიკის ინდუსტრიისა და მის მონათესავე სფეროების სისტემური ცოდნა. სტუდენტები შეისწავლიან დისტრიბუციის არხების ეფექტურ მართვას და მასთან დაკავშირებულ ასპექტებს, როგორცაა სატრანსპორტო კომპანიებთან, ბითუმად და საცალო მოვაჭრეებთან ურთიერთობის წარმართვის საკითხებს. კურსი ასევე განიხილავს ლოჯისტიკის ისტორიული და თანამედროვე საკითხები. იქნება მოყვანილი ქართული და საერთაშორისო ლოჯისტიკის ისეთი მაგალითები რომლებიც სტუდენტებს მისცემს იმის საშუალებას რომ გაიაზროს სფერო გლობალურად და გააკეთოს საკუთარი დასკვნები.</p>	<p>არჩევითი</p>	<p>5</p>	<p>IV</p>
<p>კორპორაციული მართვა</p>	<p>სასწავლო კურსის მიზანია საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთი</p>	<p>არჩევითი</p>	<p>5</p>	<p>V</p>

	უმნიშვნელოვანესი და ახალი დარგის - კორპორაციული მართვის საფუძვლიანი შესწავლა და მისი პრაქტიკაში გამოსაყენებლად მომზადება. სასწავლო კურსის დროს სტუდენტი შეისწავლის თუ როგორ განახორციელოს კომპანიების კორპორაციული მართვის დონის შეფასება, გამოაშკარავოს პრობლემები და შეძლოს მათი აღმოფხვრის საუკეთესო გამოსავალის პოვნა. ამავე დროს, სტუდენტი გაერკვევა კორპორაციული მართვის ძირითად პრინციპებში და გაიაზრებს საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შესაბამის ცოდნას.			
გუნდის მართვა და გაძღოლა	კურსის მიზანია შეისწავლოს ორგანიზაციაში გუნდის გაძღოლის, მართვისა და დიზაინის პრინციპები. საგანი ფოკუსირდება გუნდის ეფექტურობისათვის საჭირო პიროვნებათაშორის პროცესებზე, სტრუქტურულ თვისებებზე, პიროვნულ ურთიერთკავშირსა და ურთიერთობებზე. საგნის მიზანია მოახდინოს გუნდის და ჯგუფის ქცევათა გააზრება, ისე რომ ლიდერმა შეძლოს გუნდთან წარმატებული მუშაობა. საგანი მოიცავს ექსპერიმენტულ სწავლების მეთოდებს, პიროვნულ უკუკავშირსა და პრაქტიკულ მუშაობას გუნდში, რაც ლიდერის გუნდთან მუშაობის შესაძლებლობის შესწავლის წარმატების საწინდარია.	არჩევითი	5	V
სემინარი სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში	სემინარი შეაჯამებს სამაგისტრო პროგრამაში განვლილ ძირითად თეორიებსა და მოდელებს. სემინარი ყურადღებას გაამახვილებს აქტუალურ კვლევით მეთოდოლოგიებსა და კვლევის მნიშვნელობის რაობაზე. სემინარი მისცემს სტუდენტს ცოდნას თეზისის სრულყოფილად შემუშავების შესახებ. სემინარი ასევე გააცნობს სტუდენტებს სფეროში არსებული კვლევის სტანდარტებსა და წარმატებული სამეცნიერო ნაშრომის მომზადების სტანდარტებს. საუბარი იქნება წამყვან რეფერირებულ ჟურნალებზე და სამეცნიერო და კვლევით მექანიზმებზე.	სავალდებულო	10	V
სამაგისტრო ნაშრომი	სტუდენტი თავისი ინტერესის სფეროდან გამომდინარე ყალიბდება სამაგისტრო ნაშრომის თემაზე და თემის დასაწერად საჭირო კვლევის	სავალდებულო	30	V-VI

	<p>გეგმაზე. ნაშრომი წარედგინება თემის ხელმძღვანელს და კომისიას და ფასდება მათ მიერ სამაგისტროს ნაშრომის სახელმძღვანელოში მითითებული წესის შესაბამისად. ამ ნაშრომში დასაბუთებულად უნდა იყოს წარმოდგენილი სტუდენტის შეხედულება კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში, რომელსაც ის იკვლევდა სწავლების ბოლოს. ეს ნაშრომი უნდა ასახავდეს აკადემიური სწავლების პროცესში სტუდენტის მიერ მიღებულ ცოდნას და ის უნდა ეხებოდეს კონკრეტულ ბიზნეს ფენომენს მისი ინტერესის მიხედვით, ან ემპირიულ კვლევაზე დაფუძნებულ ნაშრომს.</p>			
--	--	--	--	--